MATERIALS FROM HISTORY OF OSSETIAN CULTURAL LIFE (THE FIRST STEPS OF DRAMATURGY AND STAGE ARTS)

მასალები ოსური კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (დრამატურგიისა და სასცენო ხელოვნების პირველი ნაბიჯები)

Aleksandre Mgebrishvili
Doctor of Philological Sciences,
Professor of Gori State University,
Gori, Chavchavadze st., No53, 1400, Georgia,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

Abstract. Theatrical life of Tskhinvali and its surroundings developed progressivly during the period of the First Democratic Republic of Georgia.

Theatrical life is also finding its own place, although the situation is different after the forced establishment of the Soviet government in the country. Chronologically, this picture looks like this: in this period, several drama circles work in Tskhinvali. Tskhinvali no longer has a theatre building, one circle was formed by Gr. Meburnutov in 1926 - "Drama circle located at the South Ossetian Cultural and Political Education Department". The circle included the stage-loving youth of Tskhinvali at that time. The circle would exist until 1929. G. Meburnutov mostly staged plays of contemporary content with this circle. In his stagings, as V. Kasradze writes: "One could feel the hand of a professional director and high ideation". This circle had staged performances at different times of: T. Ramishvili's "The Ease of Misfortune", P. Ireteli's "Kristine", N. Shiukashvili's "The Fool", S. Tsereteli's "Malaia..." and others.

The first workers' drama troupe was founded in Tskhinvali under the leadership of G.Devidze in 1928 and existed for a total of fifteen years, but, most importantly, at the end of 1929 , the construction of a new theatre was completed in Tskhinvali, and the following year, the season of the so-called South Ossetian Drama Theatre opened for the first time.

It can be said that a different stage in the history of the theatrical life of Tskhinvali begins in the 30s.

Here, we need to remind to the readers about the path taken by the Ossetian theatre in Georgia, because its development from this period is mainly connected with Tskhinvali.

"The development of the Ossetian national culture and art took place with the aim of assimilating the progressive tendencies of the Russian and Georgian cultures. In the second half of the 19th century, the interest of the Ossetian intelligentsia in the national literature, art and, in particular, in the theatre deepened.

In the 90s of the 19th century, Kosta Khetagurov wrote a dramatic fantasy - "Dunia", where the problems of women's emancipation were solved based on the best traditions of Russian realistic dramaturgy.

Keywords: Ossetian Dramaturgy, Theatrical Arts, Culture, Kosta Khetagurov, Tskhinvali Region, Soviet Union in Georgia.

ალექსანდრე მღებრიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., No53, 1400, საქართველო,
+995577251205, aleqsandre.m@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-4275-2417

აბსტრაქტი. ცხინვალსა და მის შემოგარენში თეატრალური ცხოვრება ერთგვარი პროგრესიის გზით ვითარდება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში. ეს ხაზი თავის, ერთგვარ კალაპოტსსაც პოულობს, თუმცა ვითარება სხვაგვარი ხდება ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების იძულებით დამყარების შემდეგ. ქრონოლოგიურად ეს სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: ამ პერიოდის ცხინვალში რამდენიმე დრამატული წრე მუშაობს. ცხინვალს აღარ აქვს თეატრის შენობა, ერთი წრე 1926 წელს ჩამოუყალიბებია გრ. მებურნუთოვს - „სამხრეთ ოსეთის კულტპოლიტსაგანმანათლებლო განყოფილებასთან არსებული დრამატული წრე“. წრეში შედიოდა იმდროინდელი ცხინვალის სცენისმოყვარე ახალგაზრდობა. დასმა 1929 წლამდე იარსება. გ. მებურნუთოვი ამ დასთან ძირითადად იმ დროისთვის თანამედროვე შინაარსის პიესებს დგამდა. მის დადგმებში, როგორც ვ. კასრაძე წერს: „იგრძნობოდა პროფესიონალი რეჟისორის ხელი და მაღალი იდეურობა“. ამ წრეს სხვადასხვა დროს წარმოუდგენია: ტ. რამიშვილის „გაჭირვების ტალკვესი“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ს. წერეთლის „მალაია...“ და სხვ.

პირველი მუშათა დრამატული დასი გ. დევიძის ხელმძღვანელობით ცხინვალში დაარსდა 1928 წელს და სულ ხუთიოდე წელი იარსება, მაგრამ, რაც მთავარია, 1929 წლის მიწურულს ცხინვალში დასრულდა ახალი თეატრის მშენებლობა, ხოლო მომდევნო წელს პირველად გაიხსნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დრამატული თეატრის სეზონი.

შეიძლება ითქვას, რომ 30-იანი წლებიდან იწყება განსხვავებული ეტაპი ცხინვალის თეატრალური ცხოვრების ისტორიაში. აქვე, მკითხველს უნდა შევახსენოთ ოსური თეატრის მიერ განვლილი გზის შესახებაც, რადგანაც ამ პერიოდიდან მისი განვითარებაც ძირითადად ცხინვალთანაა დაკავშირებული.

„ოსური ეროვნული კულტურისა და ხელოვნების განვითარება მიმდინარეობდა რუსული და ქართული კულტურების პროგრესული ტენდენციების ათვისების ნიშნით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაღრმავდა ოსი ინტელიგენციის ინტერესი ეროვნული ლიტერატურის, ხელოვნების და, კერძოდ, თეატრის მიმართ.

XIX ს-ის 90-იან წლებში კოსტა ხეთაგუროვი წერდა დრამატულ ფანტაზიას–„დუნიას“, სადაც რუსული რეალისტური დრამატურგიის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით, წყდებოდა ქალის ემანსიპაციის პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: ოსური დრამატურგია, თეატრალური ხელოვნება, კულტურა, კოსტა ხეთაგუროვი, ცხინვალის რეგიონი, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში.

შესავალი. XIX საუკუნის 90-იან წლებში კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედებამ ნიადაგი მოამზადა ეროვნული დრამატურგიის წარმოშობისათვის. XX საუკუნის დამდეგს ოსურ ენაზე შეიქმნა დრამატული ნაწარმოებები ისეთი ავტორებისა, როგორებიც იყვნენ: ე. ბრითაევი, ა. ტოკაევი, პირველი დრამატურგი ქალი რ. კოჩისოვა და სხვ.“ (ალბოროვი, 1976: 11)

პირველი დრამატული ნაწარმოები, რის გამოც იგი ნაციონალური დრამატურგიის მამად ითვლება, კოსტა ხეთაგუროვმა დაწერა 1897 წელს რუსულ ენაზე (მხედველობაში გვაქვს პიესა „დუნია“). პიესა ძირითადად ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და ავტორს უდიდესი პოპულარობა მოუტანა, თუმცა მისი ოსურ ენაზე გამოქვეყნება 1901 წლამდე ვერ მოხერხდა. პირველი ოსური ერთმოქმედებიანი პიესა „ტუტუცი“ 1903 წელს გამოაქვეყნა ბლანკა გურჯიბეკოვმა, ხოლო მომდევნო 1904 წელს კ. ხეთაგუროვის ღირსეულმა შეგირდმა ელბიზდიღო ბრითაევმა ოსურ ენაზე შეასრულა ერთმოქმედებიანი კომედია „რუსეთში ნამყოფი“ და ორმოქმედებიანი დრამა „შერცხვენას სიკვდილი სჯობს“. მათში ნაჩვენებია ოსი ხალხის ზნე-ჩვეულებანი. კარგად წერდა ე. დავითაია ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“: ეს პიესები იყვნენ ოსური დრამატურგიის პირველი მერცხლები, რომლებსაც მალე მოჰყვა იმავე ავტორის (ელ. ბრითაევი) ორი დრამა: „ორი და“ და „ამირანი“.

1906 წელს თბილისში დაარსებულმა „ოსურმა საგამომცემლო საზოგადოებამ“ უდიდესი როლი შეასრულა ოსური კულტურის წინსვლა-განვითარებისთვის. ამ საზოგადოების სახელთანაა დაკავშირებული გაზ. „ნოგ ცარდის“ (1907) გამოცემა, ოსურ ენაზე წიგნების ბეჭდვა. ამავე საზოგადოების თაოსნობით 1906 წლის მაისში „ვეტცელის“ თეატრში (თბილისში) გაიმართა პირველი ოსური წარმოდგენა.

1906 წლის 27 მაისს მიხაილოვის პროსპექტზე მდებარე სასტუმრო „ვეტცელში“ ოსურმა დასმა (ხსენებული საზოგადოების თაოსნობით არდონის დრამატული წრის წევრთა და ახალ სცენისმოყვარეთაგან ჩამოაყალიბა მუდმივი ოსური დასი) პირველი სპექტაკლი დადგა. ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“[1] იუწყებოდა: „დღეს „ვეტცელის“ თეატრში ნაჩვენები იქნება პირველი სპექტაკლი ოსურ ენაზე, რომლის შემოსავალი მოხმარდება ხელმოკლე ოს მოსწავლეებს“ (Тифлисский Листок, 1906).

ოსური დრამწრის პირველი წარმოდგენა ორიგინალურად მოეწყო: სპექტაკლის დაწყებამდე საზოგადოების ერთ-ერთი წევრი სიტყვით გამოვიდა აუდიტორიის წინაშე და ვრცლად განმარტა ახლად დაარსებული დასის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. შემდეგ უჩვენეს ელ. ბრითაევის პიესები: „სირცხვილს სიკვდილი სჯობს“ და „რუსეთში ნამყოფი“ (გომართელი, 1976: 4-5).

ეს ფაქტი ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახლდათ.

კვლევის მეთოდები. ტექსტში გამოყენებულია თეორიული მეთოდოლოგიები: შედარება, ანალიზი, განზოგადება და სხვ. გამოყენებული შედარებით-ისტორიული მეთოდი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი მოიცავს დასახელებულ თეორიულ მეთოდოლოგიებს.

შედეგები და მსჯელობა. ოსური დრამწრის პირველი წარმოდგენის შემდეგ პერიოდულად იმართება ოსურენოვანი წარმოდგენები. ოსური დრამატული წრე ხან „რენესანსის“ თეატრში, ხანაც „ავჭალის აუდიტორიაში“, მოგვიანებით ზუბალაშვილების „სახალ-

[1] **გაზეთი „Тифлисский листок“** - რუსული ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1886 – 1919 წლებში. ძირითადად იბეჭდებოდა ქრონიკა და ახალი ამბები. 1918 წლიდან გაზეთი გამოდიოდა როგორც პროგრესული, დემოკრატიული მიმართულების უპარტიო გამოცემა.

ხო სახლში“ დიდი წარმატებებით დგამს ახალ, როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ პიესებს.

ოსური დრამატული წრის პირველი წლების რეპერტუარში შედიოდა: ნ. გოგოლის „ქორწინება“ (1907), ელ. ბრითაევის პიესები ჩვენ უკვე დავასახელეთ, ა. ცაგარელის „ჭკუისა მჭირს“ (1908), ა. ოსტროვსკის „ჭექა-ქუხილი“(1910), რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ (1910) და სხვ. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი სპექტაკლების დიდი ნაწილის დადგმა ეკუთვნის რესპუბლიკის სახალხო არტისტს ნიკო გოცირიძეს[2], რომელიც წლების მანძილზე ოსური დრამატული წრის რეჟისორად მუშაობდა და უდიდესი ამაგი დასდო ოსური სასცენო ხელოვნების განვითარებას.

თუნდაც ის გარემოება, რომ საქართველოს სახალხო არტისტი ნ. გოცირიძე თხუთმეტი წლის განმავლობაში ოსური დრამატული წრის შეუცვლელი ხელმძღვანელი და რეჟისორი გახლდათ, ქართულ-ოსური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების მაღალი დონის მანიშნებელია.

XX საუკუნის დამდეგს თბილისში არსებული ოსური დრამატული წრე წარმატებით ვითარდება. რეპერტუარს იმდიდრებს ძირითადად ქართულიდან და რუსულიდან ნათარგმნი პიესებით. პერიოდულად მაყურებელს უჩვენებს: გოგოლის „ქორწინებას“, ე. ბრითაევის „შერცხვენას სიკვდილი სჯობს“, ხოლო პირველი ქართული პიესა, ნ. გოცირიძის დადგმით, ოსურ სცენაზე გახლდათ ა. ცაგარელის კომედია „ჭკუისა მჭირს“. საგულისხმოა, რომ, როგორც თარგმანში, ასევე სპექტაკლში შენარჩუნებული იყო ცაგარელის პიესის კოლორიტი.

ნ. გოცირიძემ უდიდესი ამაგი დასდო ქართულ-ოსურ ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავების მნიშვნელოვან საქმეს. მისი ხელმძღვანელობის წლებში ოსური დრამატული წრის სცენაზე აქტიურად მუშავდებოდა და იდგმებოდა: რ. ერისთავის კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ტ. რამიშვილის „მეზობლები“ (აიკრძალა ცენზურის მიერ), კ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“, ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“ და ა.შ.

ნ. გოცირიძის ხელმძღვანელობით 1906 წელს ავჭალის აუდიტორიაში ოსურ ენაზე დაიდგა პიესა „ძიძა“, რომელშიც თვითონ გოცირიძე და კ. ხახანაშვილი მონაწილეობდნენ. ოსურ ენაზე დაიდგა ა. ყაზბეგის „არსენა“ და მრ. სხვ. ამ პერიოდის შესახებ თვითონ რეჟისორი წერდა: „რაკი ერთხელ ვიკისრე ოსური სექციის ხელმძღვანელობა, თავი აღარ დავანებე, ამ სცენისმოყვარეების მუშაობით მე ძლიერ კმაყოფილი ვიყავი, როლებს ადვილად ითვისებდნენ და ბევრი მათგანი ამა თუ იმ როლის განსახიერებისას ნამდვილ ოსტატობას იჩენდა...“ (გოცირიძე, 1949: 55)

ანალოგიური ვითარება გახლდათ მომდევნო წლებშიც, ქართული ლიტერატურა ყოველთვის მკვიდრ საფუძველს წარმოადგენდა ოსური სასცენო ხელოვნების განვითარებისთვის. ნათქვამის დასტურად 1923 წლის 27 დეკემბერს დავიმოწმებდით, როდესაც ოსური დრამატული წრის მიერ ცხინვალში დაიდგა ა. ცაგარელის პიესა „ციმბირელი“. ამ ფაქტთან დაკავშირებით ცხინვალის ოსური გაზეთი „Хурзарин“ მიუთითებდა: „27 декабря прошлого года в местном театре был осетинский спектакль. Ставили пьесу „Цимбирели“ А. Цагарели. Артисты и любители с душой принялись за устройство осетинских спектаклей. Этот спектакль говорит за то, что дело устройства осетинских спектаклей улучшается. Хорошо игграли старые любители Илья Гочиев (Петуа), Соня

[2] **ნიკოლოზ გოცირიძე** - მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, პირველად 12 წლისამ ითამაშა ზ. ანტონოვის პიესაში "ქოროღლი" პატარა ბიჭის როლი. ამის შემდეგ ხშირად გამოდიოდა ეპიზოდურ როლებში. 1921 წელს მიიწვიეს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, ხოლო 1930 წლიდან კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. შესრულებული აქვს 300-ზე მეტი როლი. ნ. გოცირიძემ შექმნა ოსური თეატრი საქართველოში.

Джатиева, Дзодзе Джикаев, Вера Ханикаева. Играли и новые любители, но видно было, что они еще не так опытны. Надеемся, что артисты в дальнейшем еще дружнее возмутся за дело. Для этого есть все возможности“ (Хурзарин, 1924).

როგორც ვხედავთ, ოსური სასცენო ხელოვნების განვითარებისთვის ამ პერიოდის ცხინვალში უკვე ყოველგვარი პირობები არსებობს. ოსი მსახიობები ძალებს არ ზოგავენ, ეწაფებიან ქართულ ლიტერატურას და სცენიდან ემსახურებიან საკუთარი კულტურული განვითარების წინსვლას. სხვადასხვა დროს ოსური დრამატული წრის სცენაზე მოღვაწეობდნენ: ს. აბაევი, ა. ბესტაევი, ი. გოჩიევი, ვ. ჯატიევი, გ. კუსრაევი, მ. ურუსოვი და სხვები.

ბუნებრივია, ცხინვალში გამართული წარმოდგენების შესახებ არანაკლებ აქტიურობდა ქართული პრესა. განსაკუთრებით: ი. ეკალაძე (ამირანი, 1908), დ. კასრაძე (სახალხო გაზეთი, 1912), ნ. გურული (თეატრი და ცხოვრება, 1914) და სხვ.

ვ. ცაბაშვილი საგაზეთო წერილში „ოსური თეატრის წარსულიდან“ წერდა: „ტიფლისკი ლისტოკის“ 1912 წლის აპრილის ნომერში მოთავსებული იყო შემდეგი რეცენზია: „31 მარტს სახალხო სახლის ოსურმა დრამატულმა წრემ ოსურ ენაზე დადგა თარგმნილი ცაგარელის კომედია „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“. პიესა კარგად იყო წარმოდგენილი და მაყურებელზედაც საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა...“ სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ბ-მა ნ. გოცირიძემ, რომელიც სცენისმოყვარეთა მიმართ გულშემატკივრობას იჩენს, დიდ დახმარებას უწევს მათ სპექტაკლების გამართვაში“ (ლიტერატურა და ხელოვნება, 1952).

ან კიდევ: „უდიდესი მადლობის ღირსია ნ. გოცირიძე. რადგანაც იგი მთელი ათი წლის განმავლობაში გვერდში უდგას ოსური წარმოდგენების მმართველ ჯგუფს და ოსტატურად ხელმძღვანელობდა მას. დიახ, ეს დასაფასებელია, ვინაიდან ნ. გოცირიძე ქართველია და ის როგორც ქართულ საზოგადოებაში, ისე ოსურ საზოგადოებაშიც დაუღალავ შრომას ეწევა“ (თანამედროვე აზრი, 1916).

აღსანიშნავია, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველი ოსური სპექტაკლი დაიდგა იმავე 1921 წელს. წარმოდგენილი იყო ს. მამიევის „ნალყუთა“.

მომდევნო მნიშვნელოვანი ეტაპი ოსური თეატრის განვითარების გზაზე გახლდათ 1930 წელი, როდესაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ბუხნიკაშვილის უდიდესი ხელშეწყობით და თ. ქოქოევის ხელმძღვანელობით დასი გადაკეთდა მოძრავ საკოლმეურნეო თეატრად. მოძრავი საკოლმეურნეო თეატრის არსებობა ხანმოკლე აღმოჩნდა ვინაიდან 1931 წელს ჩამოყალიბდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომლის დასი დაკომპლექტდა მოძრავი საკოლმეურნეო თეატრის და ცხინვალის დრამატული წრის მსახიობთაგან.

აი, როგორ არის შეფასებული ეს პერიოდი ვ. ცაბაევის ნაშრომში „სამხრეთ ოსეთის თეატრი“: „ასე შესვენებებით, არარეგულარულად მიდიოდა 1931 წლამდე ცხინვალის ოსური დრამატული წრის მუშაობა, როდესაც ცხინვალში ძირითადად დასრულდა ახალი თეატრალური შენობის მშენებლობა.

ცხინვალში არსებულ ოსურ დრამატულ წრეს შემთხვევითი სპექტაკლებით აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ცხინვალელების მზარდი მოთხოვნილება თეატრისადმი. ამასთანავე, წრის წევრები დაკავებულნი იყვნენ თავიანთი ძირითადი სამსახურით და სცენას ვერ უთმობდნენ საკმარის დროსა და ყურადღებას.

იგრძნობოდა პროფესიული თეატრის ორგანიზების აუცილებლობა“ (Цабаев, 1961: 68).

საოლქო ხელმძღვანელობამ 1931 წლის გაზაფხულზე გამოტანილი დადგენილებით დაამტკიცა ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელმაც პირველი სეზონი

გახსნა ცხინვალში აგებულ შესანიშნავ შენობაში, 1931 წლის 29 ივნისს ს. წერეთლის პიესით „ციებ-ცხელება“. დადგმა ეკუთვნოდა ვ. ხეთაგუროვს[3], ხოლო სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. თუღანოვმა.

ზემოთ მოხმობილი ფაქტი აღებულია მ. შავლოხოვის ნაშრომიდან „ვ. ხეთაგუროვის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო“ (ცხინვალი 2002, რუსულ ენაზე, გვ. 29). დასახელებული შრომა ვ. ხეთაგუროვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ოსური კულტურის და მისი განუყოფელი ნაწილის – ოსური ქორეოგრაფიის შესახებ მსჯელობისას ზოგიერთი დეტალი ავტორის მიერ აშკარად გაზვიადებული ტონითაა წარმოდგენილი, ინფორმაციული თვალსაზრისით იგი მაინც საინტერესოა: „სამხრეთ ოსეთის მშრომელთათვის ეს იყო უდიდესი კულტურული მნიშვნელობის ფაქტორი. მსახიობთათვის კი–დღე დიდი შემოქმედებითი სიხარულისა. ადამიანები, რომლებიც დრამატული ხელოვნების მოყვარულთა რანგში ოდესღაც ჭრაქის შუქზე თამაშობდნენ სახლების ბანებსა და ძველ სარდაფებში ახლა ავიდნენ ფართო, კეთილმოწყობილ სცენაზე და ელექტროგანათების ქვეშ გამოდიოდნენ უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით“ (Цабаев, 1954: 26).

მალევე თბილისში გაიხსნა ოსური თეატრალური სექტორი, სადაც ცხინვალიდან მიავლინეს ოცი ახალგაზრდა სასცენო ხელოვნების დაუფლების მიზნით. ამავე პერიოდს უკავშირდება ცნობილი რეჟისორის ვ. მურღულიას, აგრეთვე კომპოზიტორების: ბ. გალაევისა და ნ. გუდიაშვილის მოსვლა ცხინვალის სახელმწიფო თეატრში.

ძველი მსახიობებიდან დარჩნენ: მანია მელქოევა, გრიშა ქოქოევი, ვანო დარბუაშვილი, ვალოდია მელქოევი, დიმიტრი გოგიჩაშვილი, გრიშა დევიძე, ვასო ყაზახაშვილი. თეატრის მეცენატმა და დიდმა მოამაგემ ვახტანგ კასრაძემ თეატრში მოიყვანა: ლუბა ასანიძე, სტეფანე გრიქუროვი, სიმონ ფარცხალაძე, ავქსენტი ბორცვაძე, მიშა გოგიშვილი, ვალიკო ლობჟანიძე, მათიკო მჭედლიძე, ირაკლი ბოლოთაშვილი, არსენ ხიდაშელი, ლიზიკო სამხარაძე, გოგი დევიძე, ლეო ფეხშველაშვილი, ნუნუ კაპანაძე, ციალა ჯიოევა და სხვ.

დასკვნა. ამგვარად, ცხინვალის რეგიონში, აღებულ პერიოდში არსებული ინტელექტუალური და შემოქმედებითი ძალების შესახებ საუბრისას პირთა ჩამონათვალი კიდევ შეიძლება გაგრძელდეს. წინამდებარე შრომაში ჩვენ შევეხეთ და წინა პლანზე წამოვწიეთ იმ მოღვაწეთა სახელები, რომლებმაც განსაკუთრებული აქტიურობით დაამახსოვრეს თავი თავის თანამედროვე საზოგადოებას. ვგულისხმობთ იმ პერიოდის მრავალრიცხოვან პერიოდულ პრესაში გაბნეულ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ტექსტებს, რომელთა გაცნობა დღევანდელი აუდიტორიისთვის კვლავაც საინტერესოა.

[3] უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ხეთაგუროვი, რომელიც 1930 წლიდან მუშაობდა თბილისში საქ. კინოს განყოფილების უფროსად 1931 წელს მიიწვიეს ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. იგი გახლდათ ცნობილი ოსი მოცეკვავე, ქორეოგრაფი. საქართველოს დამსახურებული არტისტი, რომელმაც ნაყოფიერი სამოღვაწეო გზა განვლო. ჩვენი სიტყვების დასტურად, ვფიქრობთ, იკმარებდა ისიც, რომ ლონდონში მივლინებულ მაშინდელი საბჭოთა კავშირის 38 კაციან დელეგაციაში ხელოვნების ისეთ მსახურთა გვერდით, როგორებიც იყვნენ: ი. სუხიშვილი, დ. ჯავრიშვილი, ა. ჩიხლაძე, მ. ჩოჩიშვილი და სხვ. შედიოდა ვ. ხეთაგუროვიც.

გამოყენებული ლიტერატურა

ალბოროვი, ფ. (1976). *კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი.* შემდგ. კ. ნონიკაშვილი, რედ. ლ. ლომთათიძე. თბილისი.

ამირანი. (1908) . #13.

გომართელი, თ. (1976). *ნაძალადევის ოსური სახალხო თეატრი.* თბილისი.

გოცირიძე, ნ. (1949). *მოგონებები.* თბილისი.

თანამედროვე აზრი. (1916). #126.

თეატრი და ცხოვრება. (1914). #24.

ლაშხია, ნ., & მეშვილდე, თ. (1980). *ცხინვალის ქართული თეატრი.* თბილისი.

ლიტერატურა და ხელოვნება. (1952). #18.

საბჭოთა ოსეთი. (1962). #242.

სახალხო გაზეთი. (1912). #676.

Тифлисский Листок. (1906). #106.

Хурзарин. (1924). №1.

Цабаев, В. (1961). *Юго-Осетинский театр.* Цхинвал.

Цабаев, В. (1954). *Пятьдесят лет зарождения Осетинского театра.* Сталинир.

REFERENCES

alborovi, p. (1976). *k'ost'a khetagurovis sakhelobis tskhinvalis sakhelmts'ipo dramat'uli teat'ri [Kosta Khetagurov Tskhinvali State Drama Theatre].* Created by K. Nonikashvili, edited by L. Lomtatidze. Tbilisi.

amirani [Amirani]. (1908) . #13.

gomarteli, t. (1976). *nadzaladevis osuri sakhalkho teat'ri [Ossetian Public Theatre of Nadzaladevi].* Tbilisi.

gotsiridze, n. (1949). *mogonebebi [Memories].* Tbilisi.

tanamedrove azri [Tanamedrove azri]. (1916). #126.

teat'ri da tskhovreba [Teatri da tskhovreba]. (1914). #24.

lashkhia, n., & meshvilde, t. (1980). *tskhinvalis kartuli teat'ri [Tskhinvali Georgian Theatre].* Tbilisi.

lit'erat'ura da khelovneba [Literatura da khelovneba]. (1952). #18.

sabch'ota oseti [Sabchota oseti]. (1962). #242.

sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti]. (1912). #676.

Tiflisskij Listok [Tiflisskij Listok]. (1906). #106.

Hurzarin [Khurzarin]. (1924). №1.

Cabaev, V. (1961). *Jugo-Osetinskij teatr [South Ossetian Theatre].* Tskhinvali.

Cabaev, V. (1954). *Pjat'desjat let zarozhdenija Osetinskogo teatra [Fifty Years of Ossetian Theatre Origins].* Stalinir.